განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საერთაშორისო ურთიერთობები
ბაკალავრიატი
ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი 17.05.2021

დასკვნის  წარდგენის თარიღი 20.06.2021

თბილისი
2021

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205233022 |
| დაწესებულების სახე | არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | საერთაშორისო ურთიერთობები |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0312 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | ახალი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | დავით გეგეჭკორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ირაკლი გორგილაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

| | |
|---|---|
| | სახელმწიფო,საქართველო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ქრისტინე ჩიხლაძე, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ცოტნე ცაავა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა არის ახალი პროგრამა. პროგრამაზე სწავლის სტანდარტული ხანგრძლივობაა 8 სემესტრი (4 წელი). ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 240 ECTS კრედიტი. პროგრამა მოიცავს საუნივერსიტეტო საგნებს (42 კრედიტი), რომელთა მიზანია სტუდენტისათვის B2 დონეზე უცხო ენის (ინგლისური) და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით აკადემიური კომუნიკაციის სწავლება. სპეციალობის 22 სავალდებულო კურსს (132 კრედიტი), რომლებიც უზრუნველყოფს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში კომპლექსური ცოდნით აღჭურვილი, ანალიტიკურად მოაზროვნე სპეციალისტის მომზადებას; სპეციალობის 7 არჩევით კურსს (42 კრედიტი, რომლიდანაც სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 12 კრედიტი). სავალდებულო კრედიტების დაგროვების შემდეგ, სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, კრედიტები 240-მდე შეავსოს დამატებით სპეციალობის არჩევითი კურსებით და თავისუფალი არჩევითი კურსებით ან აირჩიოს გაიაროს დამატებითი (minor) სპეციალობა,

უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული ჩამონათვალიდან საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის განხორციელება შესაბამისობაშია ა(ა)იპ ქართული უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმასთან, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებას, შეფასების მექანიზმებისა და სტუდენტთა შეფასების სისტემის დახვეწას, პოტენციურ დამსაქმებელთან ახალი ურთიერთობების დამყარებას, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობას, პროგრამის განხორციელებაში პრაქტიკოსი სპეციალისტების ჩართვას, კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის პოლიტიკის შემუშავებას, საბიბლიოთეკო ფონდის მუდმივად განახლებას, მატერიალური რესურსის გაუმჯობესებას.

**აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ქვეყანაში შექმნილი COVID -19 მდგომარეობის გამო პროგრამის შემოწმება ექსპერტების მიერ განხორციელდა ვიზიტის გარეშე თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების

მეშვეობით. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ა(ა)იპ ქართული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
  - სტანდარტი 1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - სტანდარტი 2 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

  სტანდარტი 3 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - სტანდარტი 4 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთა
  - სტანდარტი 5 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**რეკომენდაციები**

1. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მიუხედავად უნივერსიტეტის მზაობისა, მაქსიმალურად იყოს სხვადასხვა საუნივერსიტეტო მასშტაბის ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართული, სასურველია ქართული უნივერსიტეტი და უფრო კონკრეტულად საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა, უფრო მეტად იქნება ჩართული საერთაშორისო პროცესებში და ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის განვითარებას;

2. აუცილებელია პროგრამას თან ახლდეს კურიკულუმის რუკა/სასწავლო გეგმა, რათა მთლიანობაში მოხდეს პროგრამის სტრუქტურის, შინაარსის, სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების თანმიმდევრობის შესაბამისობის დადგენა სწავლების საბაკალავრო საფეხურთან;

3. პრაქტიკული/ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით სგანმანათლებლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული კომპონენტის მდგრადობა;

4. უნდა მოხდეს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების ჩაშლა, რისთვისაც უნდა გამოიყენონ დეტალური სქემა-რუბრიკების გამოყენება;

5. გაიზარდოს უნივერსიტეტის მხარდაჭერა, რათა აკადემიური პერსონალი აქტიურად გაეცნოს შეფასების თანამედროვე სტანდარტებს;

6. აუცილებელია გაიზარდოს უნივერსიტეტის ძალისხმევა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, რათა აღნიშნული პროგრამის სტუდენტებისათვის საერთაშორისო მობილობის რეალური შესაძლებლობა შეიქმნას;

7. საჭიროა პროგრამამ აქტიურად უზრუნველყოს სტუდენტთა ინფორმირებულობა საკონსულტაციო მომსახურების შესაძლებლობის შესახებ და თითოეულ სტუდენტს მიაწოდოს აღნიშნული მომსახურების განრიგი;

8. ადგილობრივი აკადემიური პერსონალის გაძლიერება;

9. ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული წიგნების კატალოგის სრულყოფა და ონლაინ ბაზების და ელ-ვერსიების გაუმჯობესება;

10. ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების პრაქტიკაში რეალურად დანერგვის მიზნით.
11. გაიზარდოს დამსაქმებლების ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფისა და საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში;
12. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მიზნით განხორციელდეს პროგრამის გარე შეფასება უცხოელი დარგის ექსპერტის მიერ, რაც ხელს შეუწყობს ერთი მხრივ, პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის დაახლოებას საერთაშორისო სტანდარტებთან, ხოლო მეორე მხრივ, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაზრდას;
13. უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და დაინტერესებული მხარეების რეალური ჩართულობა პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესებში.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში“ გადაისინჯოს სწავლების მეთოდები და მოხდეს ჯგუფში მუშაობის შედეგზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვა.
2. სასწავლო კურსებში, შესაძლებლობების ფარგლებში, მაქსიმალურად განახლდეს ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა.
3. გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად გაიზარდოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირებულობა და პროცესებში ჩართულობა.
4. სასურველია უსდ გააღრმავოს კავშირები პრაქტიკის აგენტებთან რათა უზრუნველყოფილი იქნას პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევადობა;
5. სასურველია უსდ-ს გააჩნდეს მაღალი აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები და ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით განახორციელოს შესაბამისი აკადემიური აქტივობები.
6. სასურველია გაიზარდოს სტუდენტთა ინფორმირებულობა ისეთ საკითხებთან დაკავშრებით, როგორიცაა გასაჩივრების პროცედურები, რათა საჭიროების შემთხვევაში აქტიურად შეძლონ საკუთარი უფლებების დაცვა და მიღებულ შეფასებასთან დაკავშირებული უკმაყოფილების გამოხატვა.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

▪

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
| --- |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას; პროგრამა ორიენტირებულია საბაზისო საუნივერსიტეტო განათლების მიღებაზე საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარებაზე.<br>პროგრამის თვისშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა საშუალებას მისცემს სტუდენტებს დაეუფლონ ფართო ცოდნას საერთაშორისო ურთიერთობებში, შეისწავლონ საერთაშორისო ურთიერთობებსა და პოლიტიკაში არსებული თეორიები, ცნებები, პრინციპები და კვლევის მეთოდები. ამ პროგრამის დასრულების შემდეგ მათ შეეძლებათ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების კრიტიკულად აღქმა და საერთაშორისო მოვლენების სიღრმისეული ანალიზი. პროგრამა მოიცავს ისეთ საგნებს, რომლებიც მისცემს სტუდენტებს კომპლექსურ ცოდნას პოლიტიკური, სოციალური, გლობალური, რეგიონალური პროცესებისა და პრობლემების შესახებ. პროგრამა ორიენტირებულია ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე<br>პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებული იქნება აღჭურვილი დარგობრივი ცოდნით, გამომუშვებული ექნება პროფესიული და ტრანსფერული უნარები, რაც ხელს შეუწყობს დასაქმდნენ პროფესიით და საკუთარი წვლილი შეიტანოს დარგის განვითარებაში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• ქართული უნივერსიტეტის მისია და სტრატეგია; |

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მიუხედავად უნივერსიტეტის მზაობისა, მაქსიმალურად იყოს სხვადასხვა საუნივერსიტეტო მასშტაბის ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართული, კარგი იქნება, თუ ქართული უნივერსიტეტი და უფრო კონკრეტულად საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა, უფრო მეტად იქნება ჩართული საერთაშორისო პროცესებში და ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის განვითარებას.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს. პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსების შინაარსი სტუდენტებს ანიჭებს ზოგად ცოდნას საერთაშორისო ურთიერთობებში. მიღებული ცოდნის საშუალებით კურსდამთავრებულებს ექნებათ სათანადო ცოდნა და პრაქტიკული უნარები, რომ გააანალიზონ საერთაშორისო მოვლენები და მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. სტუდენტებს შეეძლებათ დებატებში და დისკუსიებში მონაწილეობა მსოფლიო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალურ და საკვანძო საკითხებზე. თითოეული სწავლის შედეგი არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური; პროგრამის სწავლის შედეგები დაგეგმილია მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი კვალიფიკაციის შესაბამისი დონისათვის დადგენილი აღმწერის გათვალისწინებით. ამ მიზნით, სამუშაო პროცესში გამოყენებული იქნა სარეკომენდაციო სახელმძღვანელოები, გაანალიზდა ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკა. სწავლის შედეგები დაიგეგმა კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნების გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლის გაგრძელება მაგისრატურაში იმ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელთა დაშვების წინაპირობაც ითვალისწინებს საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის დიპლომს. საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი შეიძლება დასაქმდეს ისეთ დაწესებულებებში, როგორიცაა სახელმწიფო დაწესებულებები, ასევე კერძო სექტორში და არასამთავრობო ორგანიზაციებში. ამრიგად მათ შეუძლიათ მუშაობის დაწყება:

სახელმწიფო დაწესებულებებში, სახელმწიფო მართვის ცენტრალურ, ადგილობრივ და მუნიციპალურ ორგანოებში - საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში; - სამეცნიერო–კვლევით ცენტრებში, განსაკუთრებით ისეთ პოზიციებზე, სადაც მოითხოვება ანალიტიკური უნარ-ჩვევები; - მედიაში – საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროფილის ჟურნალ–გაზეთებში; - ყველა იმ დაწესებულებაში, სადაც მოითხოვება საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის ცოდნა. სწავლის შედეგებზე მუშაობის ეტაპზე ყურადღება გამახვილდა როგორც დარგის სპეციფიკაზე, ისე - შრომის ბაზრის მოთხოვნებზე.

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• საგანმანათლებლო პროგრამა;<br>• პროგრამისსწავლისშედეგები;<br>• პროგრამის მიზნები;<br>• შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;<br>• პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში;<br>• უნივერსიტეტის ვებ-გვერდი |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის | X | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ჩამოყალიბებულია საგანმანათლებლო პროგრამის აღწერით ნაწილში. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტში, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, ჩარიცხვის უფლება ენიჭება სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.<br>პროგრამა უზრუნველყოფილია, სტუდენტთა ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, მობილობის (წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით) ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვით (უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან) რაც ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.<br>წინაპირობების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე |

https://sangu.edu.ge/ka/article/studenturi-gzamkvlevi.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (კრიტერიუმები და პროცედურები);
- ინფორმაციის საჯაროობა - პროგრამაზე დაშვების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მეთოდები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

| |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს კანონს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებასა“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“.<br>უსდ-ში ვიზიტისას შეფასებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიის ეფექტიანობა. გაანალიზებული იქნა პროგრამის შემუშავების პროცესში წარმოებული საბუთები, მათი შესაბამისობა ცალკეულ პროცედურებთან. ინტერვიუების მეშვეობით გადამოწმებული იქნა მოქმედი მარეგულირებელი წესის ყველა დაინტერესებული პირის ხელმისაწვდომობა. მიუხედავად ზოგიერთი გამონაკლისისა (აკდემიური, მოწვეული პერსონალი არ ფლობდა ინფორმაციას პროცედურული საკითხების შესახებ) ირკვევა, რომ პროგრამამ გაიარა აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებული ყველა ეტაპი. დასტურდება, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად.<br>წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ირკვევა, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის და სხვა სამსახურები. თუმცა, ინტერვიუებმა, სამწუხაროდ, მკაფიოდ არ დაადასტურეს ფაქტის ჭეშმარიტება (ხშირ შემთხვევაში გამოკითხული პერსონალი არ ავლენდა ღრმა ინფორმაციულ ცოდნას პროცედურულ და ადმინისტრირების საკითხებზე). აღნიშნულ |

საკითხებზე პასუხისმგებელია პროგრამის ხელმძღვანელი.

სტრუქტურული და შინაარსობრივი ელემენტები შეესაბამება წარმოდგენილი მარეგულირებელი წესის პირობებსა და მოთხოვნებს. დაცულია პროცედურული წესები, განხორციელებული სააკრედიტაციო მექანიზმები.

პროგრამა მიჰყვება ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემას (ECTS). სასწავლო კურსები შედგენილია აკადემიური და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით, საგნის თავისებურებების გათვალისწინებით. ის, პასუხობს ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის № 3 ბრძანებას.

სტრუქტურულად საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება 240 ECTS, რომელშიც საბაზისო საუნივერსიტეტო საგნებს ეთმობა 42 კრედიტი, სავალდებულო კურსებს - 132 კრედიტი, სპეციალობის 7 არჩევით კურსს - 42 კრედიტი, რომლიდანაც სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 12 კრედიტი.

სავალდებულო კრედიტების დაგროვების შემდეგ (ჯამში - 186 კრედიტი), სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, კრედიტები 240-მდე შეავსოს დამატებით სპეციალობის არჩევითი კურსებით და თავისუფალი არჩევითი კურსებით ან დამატებითი (minor) სპეციალობით, უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული ჩამონათვალიდან (54 კრედიტი).

პროგრამის სტრუქტურული ნაწილი, სასწავლო გეგმა, ასევე სასწავლო კომპონენტების სილაბუსები (ინფორმაციას წინაპირობების შესახებ) ითვალისწინებს თითოეული სასწავლო კომპონენტის მიმართ მასზე დაშვების წინაპირობას (ასეთის არსებობის ან საჭიროების შემთხვევაში). წინაპირობების არსებობა რელევანტურია, განსაკუთრებით იმ საგნებში რომლებსაც წინ უსწრებს შესავალი კურსები ().

პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში, მტკიცებულებებსა და ინდიკატორებში მითითებული პროგრამის კურიკულუმის რუკა/სასწავლო გეგმა, სამწუხაროდ პროგრამაში არ იძებნება. საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით ინსტიტუციიდან დამატებით გამოთხოვილ დოკუმენტებში ის ასევე არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, რთულია შეფასდეს ლოგიკური ბმა, შედეგზე ორიენტირებული განვითარება სტუდენტისთვის შეთავაზებული სასწავლო კურსების მიხედვით (სემესტრული განაწილება სასწავლო წლეების მიხედვით). გარდა ამისა უსდ-ს მიერ მოწოდებული ზეპირი ინფორმაცია სასწავლო კურსების შერჩევის პრინციპების შესახებ ასევე, ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან არ ტოვებს გამჭვირვალობისა და სასწავლო კურსების თავისუფალი არჩევანის შთაბეჭდილებას.

თითოეული სასწავლო კურსის სწავლებისა და სწავლის მეთოდები მეტწილად

ადეკვატურია დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებთან მიმართებაში, თუმცა, ვხვდებით მათ ერთგვაროვნებასაც. მსჯელობის საგანია საგანმანათლებლო პროგრამის ზოგიერთ საგანში ჯგუფში მუშაობის მეთოდები, მაგ., „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში“ – 13 სასწავლო კვირიდან 11 ითვალისწინებს მხოლოდ ზეპირ გამოკითხვა/ დებატებს, რაც სილაბუსით გათვალისწინებული შედეგების მიღწევადობას საეჭვოს ხდის. ინგლისურ ენოვან კურსებში ზოგ შემთხვევაში გვხვდება ლიტერატურა ან ქართულ ენაზე ან ნათარგმნი ქართულად (წიგნის/სახელმძღვანელოს დასახელება) რაც ვფიქრობთ არ უნდა ხდებოდეს.

სასწავლო კომპონენტების სილაბუსებში მკაფიოდ არის გამიჯნული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა, რომლებშიც მითითებულია როგორც წყაროები, ასევე, მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები. სააკრედიტაციო განაცხადის თანდართული მასალებიდან ირკვევა, რომ დაწესებულება ყოველწლიურად უზრუნველყოფს პროგრამის საჭიროების მიხედვით ძირითადი სასწავლო და ცალკეული დამატებითი, დამხმარე სასწავლო მასალების შესყიდვას/განახლებას. მიუხედავად ამისა, ხშირია სასწავლო კურსებში მოძველებული ლიტერატურის მითითება. პროფესორ მასწავლებლების პერსონალური ბიოგრაფიული მონაცემებიდან (CV-დან) და ბოლო 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო პუბლიკაციებიდან ჩანს, რომ სწავლება ხორციელდება აქტუალურ ცოდნაზე დაყრდნობით.

პროგრამის შინაარსის, სასწავლო კურსების მოცულობა, კომპლექსურობა, ცხადყოფს, რომ უზრუნველყოფილია მათი თავსებადობა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან, რაც იძლევა საფუძვლიან მოლოდინს, რომ პროგრამის წინაპირობის დაძლევის შედეგად ჩარიცხული პირისთვის პროგრამა დაძლევადია.

უსდ-ს ვებ-გვერდის და სხვა ხელმისაწვდომი ქსელების მეშვეობით უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამა
- სილაბუსები;
- ვებგვერდი;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამის დამტკიცების ბრძანება;

რეკომენდაციები:

- აუცილებელია პროგრამას თან ახლდეს კურიკულუმის რუკა/სასწავლო გეგმა რათა მთლიანობაში მოხდეს პროგრამის სტრუქტურის, შინაარსის, სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების თანმიმდევრობის შესაბამისობის დადგენა სწავლების საბაკალავრო საფეხურთან;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში" გადაისინჯოს სწავლების მეთოდები და მოხდეს ჯგუფში მუშაობის შედეგზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვა.
- სასწავლო კურსებში, შესაძლებლობების ფარგლებში, მაქსიმალურად განალდეს ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა.
- გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად გაიზარდოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირებულობა და პროცესებში ჩართულობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს

აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის შემადგენელი კომპონენტების სტრუქტურა გაწერილი არის შესაბამის სილაბუსში და ასახავს ინფორმაციას სასწავლო კურსის სახელწოდების, ავტორის, სასწავლო კურსის სტატუსის, მიზნების, კრედიტების რაოდენობის და საათების (ECTS) განაწილების, სწავლის შედეგების, სასწავლო კურსის შინაარსის, სწავლების/სწავლის მეთოდების, შეფასების, ძირითადი და დამატებითი ლიტერატურისა შესახებ. სილაბუსის შედგენის პროცედურები აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ დაცულია სრულად.

საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კურიკულუმის რუკა, რომელიც წარმოაჩენს თითოეული სასწავლო კომპონენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგებთან თანხვედრას და ცოდნის სიღრმეს.

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნებისთვის წარმოდგენილ მასალებში ნათლად ჩანს, რომ აკადემიური პერსონალი და სხვა დაინტერესებული პირები აქტიურად მონაწილეობენ პროგრამის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსების, მათი მიზანშეწონილობის, შინაარსის განსაზღვრაში.

წარმოდგენილი მასალებიდან, ირკვევა, რომ დაწესებულების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, მარეგულირებელი აქტები ქმნიან მექანიზმებს, რომლის მეშვეობით შესაძლებელია თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან, სასწავლო კურსის შინაარსის იმავე სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან, სასწავლო კურსის სწავლის შედეგების უმაღლესი განათლების შესაბამის (ამ შემთხვევაში საბაკალავრო) საფეხურთან თანხვედრის, სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობის/მოცულობის იმავე სასწავლო კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან, სილაბუსში მითითებული სავალდებულო და სხვა სასწავლო მასალების კურსის სწავლის შედეგებთან თანხვედრა/შესაბამისობა და დადარების უზრუნველყოფას. პროგრამის შემადგენელი სასწავლო კომპონენტების შინაარსი, თემატიკა ჩამოყალიბებულია უმაღლესი განათლების პირველი, საბაკალავრო დონის პირველადი ცოდნის დონის გათვალისწინებით. სავალდებულო სასწავლო კურსის შინაარსი ესადაგება სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ფართო (სრული ზოგადი განათლების შემდგომი) ცოდნას, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და ცოდნის ზოგიერთ უახლეს ასპექტს. გარდა ამისა, სასწავლო კურსების შინაარსი ეფუძნება სწავლის შედეგებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობას უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურთან.

სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია,

დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

თითოეული სასწავლო კომპონენტის სილაბუსებში მითითებულია სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა. საკრედიტაციო განაცხადის თანდართული მასალებიდან ირკვევა, რომ დაწესებულება ყოველწლიურად უზრუნველყოფს პროგრამის საჭიროების მიხედვით ძირითადი სასწავლო და ცალკეული დამატებითი, დამხმარე სასწავლო მასალების შესყიდვას/განახლებას. პროფესორ/მასწავლებლების პერსონალური ბიოგრაფიული მონაცემები, ბოლო 5 წლის განმავლობაში მათი სამეცნიერო პუბლიკაციები გავძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ სწავლება ხორციელდება უახლესი ინფორმაციის დამუშავების, კვლევის შედეგად მიღებული აქტუალურ ცოდნაზე დაყრდნობით.

მთლიანობაში სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებს და ასევე ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში/დარგში და უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

| |
|---|
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>წარმოდგენილი მასალებიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტში, საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამა გარკვეულწილად უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის საფუძველზე, სტუდენტთა აუცილებელი პრაქტიკული უნარებით განვითარებას. პრაქტიკული კომპონენტი პროგრამაში წარმოდგენილია დასკვნით ეტაპზე პრაქტიკის შეთავაზებით. პრაქტიკის კომპონენტი 6-კრედიტიანია, ის ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებში შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია თანმიმდევრული დაგეგმვით, მას უზრუნველყოფს უსდ-სა და პრაქტიკის აგენტებს შორის გაფორმებული მემორანდუმები, რომელშიც მითითებულია მხარეთ აუფლება-მოვალეობები, როგორიცაა სტუდენტთა კვლევით პროექტებში ჩართვა, ერთობლივი საგანმანათლებლო, სამეცნიერო და შემოქმედებითი პროექტების ორგანიზება (ტრეინინგების, კონფერენციების, სემინარების, საჯაროლექციების, საზაფხულო სკოლების დასხვ.) პრაქტიკის გავლის პერიოდში და სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის დროს, სტუდენტებს ხელმძღვანელობას გაუწევენ დარგის კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც რეგულარულად შეაფასებენ სტუდენტების საქმიანობას.<br>სტუდენტთა გამოკითხვებიდან იკვეთება, რომ პრაქტიკა/სტაჟირება სტუდენტებისთვის მხოლოდ კვლევითი პროექტების მომზადებაში ჩართულობას გულისხმობს და მასში არ არის ინტეგრირებული პრაქტიკული უნარების განმავითარებელი აქტივობები. ასევე ინტერვიუებიდან იკვეთება აღნიშნული კომპონენტის განხორციელების არამდგრადობა (კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ პრაქტიკის კომპონენტი უღიარდათ საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის ნაწილში) რაც ვთვლით საგულისხმო ხარვეზია პროგრამის მიზნების მიღწევის |

თვალსაზრისით.

უსდ-ს გააჩნია მნიშვნელოვანი გამოცდილება სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების ორგანიზებაში. მასპინძლობს და ხელს უწყობს სტუდენტებისა და პერსონალის მონაწილეობას სხვადასხვა სამეცნიერო/კვლევით ღონისძიებებში. აქტიურად ატარებს სტუდენტურ კონფერენციებს. ინტერვიუმ ასევე ცხადყო, რომ სტუდენტს პრაქტიკული თუ კვლევითი ხასიათის პროექტებში მონაწილეობისას ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელთაც შეუძლიათ მათი განმავითარებელი შეფასება.

უსდ თანამშრომლობს სხვადასხვა არასამთავრობო და სახელმწიფო ორგანიზაციებთან რაც სახელმწიფო სტრუქტურებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა ორიენტირებულია უზრუნველყოს პროგრამის სტუდენტთა სამეცნიერო კვლევითი უნარების განვითარება და/ან მათ შესაბამის პროექტებში ჩართვა. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ პროფესიული უნარების მიღწევას ემსახურება პროგრამაში ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსების არსებობა, როგორიცაა „აკადემიური წერის საფუძვლები“, და საბაკალავრო ნაშრომი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის მიერ ორგანიზებული საერშორისო და სტუდენტური კონფერენციები საჯარო ლექციები
- პრაქტიკის შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია;
- შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები
- ვებგვერდი

**რეკომენდაციები:**

- პრაქტიკული/ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით სგანმანათლებლობლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული კომპონენტის მდგრადობა;

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია უსდ გააღრმავოს კავშირები პრაქტიკის აგენტებთან რათა უზრუნველყოფილი იქნას პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევადობა;

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საავტორიზაციოდ წარმოდგენილი ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტში, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისთვის გამოიყენება ისეთი მეთოდები და აქტივობები, როგორიცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვა. ამასთან, სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებისას გამოიყენება შესაბამისი აქტივობები: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, შემთხვევების ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), სხვა. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება.

ვიზიტის დროს არ გამოვლინდა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა მაჩვენებლის გამოვლენას. ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით შესაბამისი აკადემიური მხარდაჭერის აქტივობები (სასემინარო მუშაობის მოცულობის ზრდა, ცალკეული უნარების განმავითარებელი კომპონენტების გაძლიერება და სხვა). აგრეთვე სტუდენტთა საკონსულტაციო საათის პრაქტიკა.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებულია სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები რაც დასტურდება უნივერსიტეტში შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესით.

საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსის სილაბუსების შინაარსის, სწავლება-სწავლის მეთოდების, თემატიკის აქტივობებისა და მეთოდების შედარების, სასწავლო პროცესში ჩართულ და დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუს გზით იკვეთება, რომ პერსონალის მიერ ძირითადად გამოყენებულია, უმაღლესი განათლების პირველი საფეხურისთვის ვალიდური, პირველადი ცოდნის და უნარების უზრუნველმყოფელი მეთოდები, დაცულია სასწავლო კურსის თავისებურებები/სპეციფიკა (თეორიული და პრაქტიკული ხასიათი). თუმცა ხშირია მეთოდთა ერთგვაროვნება რაც ვფიქრობ მექანიკური ჩანაწერის შედეგია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ინტერვიუს შედეგები;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამა.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია უსდ-ს გააჩნდეს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები და ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით განახორციელოს შესაბამისი აქტივობები.
2. აუცილებელია მკაფიოდ გაიწეროს და თვალსაჩინოდ განთავსდეს საკონსულტაციო საათების განრიგი რათა სტუდენტს, საგანში დამატებით კონსულტაციის მიღების და გაცდენილი საათის აღდგენის საშუალება მიეცეს.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სტუდენტების შეფასება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული, სტუდენტებისათვის კარგად ცნობილი, სამართლიანი და გამჭვირვალე პროცედურების შესაბამისად, რომელიც ეყრდნობა პროგრამის სწავლის მიზნების მიღწევის ხარისხის განსაზღვრის საჭიროებებს და ხორციელდება მკაფიო კრიტერიუმებისა და შეფასების სქემა/რუბრიკების გამოყენებით. პროგრამა გამოიყენებს შეფასების ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა პრეზენტაციები, წერითი და ზეპირი გამოკითხვა და შუალედური და დასკვნითი გამოცდა. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების საერთო 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს 60 ქულას, რომელიც მოიცავს სემინარული აქტივობის(20 ქულა), პრეზენტაციისა (10 ქულა) და შუალედური გამოცდის შეფასებას(30 ქულა). პროგრამის მიერ განსაზღვრული შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარს წარმოადგენს 20 ქულა. დასკვნითი გამოცდისათვის კი ზღვარი განისაზღვრება 21 ქულით.

სილაბუსების განხილვამ გვაჩვენა, რომ შეფასების კომპონენტები თითოეული სასწავლო კურსისათვის შესაბამისობაშია ამ კურსის სწავლის შედეგებთან და ერგება მის სპეციფიკას. სტუდენტები მიიღებენ ზუსტ ინსტრუქციას დავალებასთან დაკავშირებით, რაც მკაფიოდ ჩამოყალიბებულ სქემა-რუბრიკებთან ერთად სტუდენტს ნათელ მოლოდინს უყალიბებს შეფასების კრიტერიუმებზე და ზრდის სისტემის სანდოობასა და ობიექტურობას. სწორედ სანდოობისა და გამჭვირვალობის ამაღლების უზრუნველსაყოფად, ვთვლით საჭიროდ, რომ საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები უფრო კონკრეტულად გაიწეროს. შესაბამისი დეტალიზაციისა და სქემა-რუბრიკების გარეშე განსაზღვრული 10-15 ქულიანი შეფასების კომპონენტები, როგორიც გვხვდება საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში, ბუნდოვანს ხდის სტუდენტის მოლოდინებს მისი მიღწევების შეფასებისათვის გამოყენებულ კრიტერიუმებთან დაკავშირებით.

სემესტრის დაწყებისას გამართული საინფორმაციო შეხვედრა უზრუნველყოფს პირველკურსელების ინფორმირებულობას პროგრამაზე გამოყენებული შეფასების სისტემის შესახებ. კურსისთვის განსაზღვრულ შეფასების კომპონენტებზე დეტალური ინფორმაცია კი მითითებულია შესაბამის სილაბუსებში.

სტუდენტებს წერითი გამოცდები უტარდებათ საგამოცდო ცენტრში. სწორედ საგამოცდო ცენტრი უზრუნველყოფს განრიგის შედგენას, სტუდენტთა ინფორმირებას და საკუთარ თავზე იღებს ყველასათვის თანაბარი და სამართლიანი საგამოცდო პირობების შექმნას. გამოცდების შედეგების სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში ასახვა და გამოცდის განრიგის შეცვლასთან დაკავშირებული განცხადებების განხილვაც სწორედ საგამოცდო ცენტრის კომპეტენციაში შედის.

სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაასაჩივრონ მათ მიერ მიღებული შუალედური თუ დასკვნითი შეფასება. თუმცა მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრებამ გვაჩვენა, რომ სტუდენტების ნაწილს, განსაკუთრებით კი დამწყები კურსის სტუდენტებს, არ აქვთ ზუსტი წარმოდგენა გასაჩივრების პროცედურებთან დაკავშირებით. რაც, ონლაინ სწავლებით განპირობებული კომუნიკაციის დეფიციტის პირობებში, მიუთითებს უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტების აღნიშნულ საკითხში ინფორმირებულობის ამაღლების საჭიროებაზე.

პროგრამა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შეფასების შედეგების შესახებ სტუდენტთა უკუკავშირით უზრუნველყოფას, რაც მათ საშუალებას აძლევს გააუმჯობესონ სწავლის შედეგები და აქცენტირდნენ განსავითარებელ მხარეებზე. სასემინარო აქტივობების ან რეფერატი-პრეზენტაციის ჩაბარების დროს თითოეული სტუდენტი მიიღებს ინფორმაციას ლექტორის მხრიდან თუ რამდენად აკმაყოფილებს შეფასების კომპონენტისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს. მოცემული პრაქტიკის არსებობას ადასტურებენ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებიც.

პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის ჩატარებული ღონისძიებების ანალიზის საფუძველზე არ დასტურდება უნივერსიტეტის მხრიდან აქტიური მხარდაჭერა, რომელიც უზრუნველყოფდა აკადემიური პერსონალის კომპეტენციის ამაღლებას შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების საკითხში. ვთვლით რომ პროგრამის კონკურენტუნარიანობისა და გრძელვადიანი წარმატებისთვის აღნიშნული მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები

- ღონისძიებების არქივი
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

- უნდა მოხდეს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების ჩაშლა, რისთვისაც სასურველია დეტალური სქემა-რუბრიკების გამოყენება.
- გაიზარდოს უნივერსიტეტის მხარდაჭერა, რათა აკადემიური პერსონალი აქტიურად გაეცნოს შეფასების თანამედროვე სტანდარტებს

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია გაიზარდოს სტუდენტთა ინფორმირებულობა ისეთ საკითხებთან დაკავშრებით, როგორიცაა გასაჩივრების პროცედურები, რათა საჭიროების შემთხვევაში აქტიურად შეძლონ საკუთარი უფლებების დაცვა და მიღებულ შეფასებასთან დაკავშირებული უკმაყოფილების გამოხატვა.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია | ნაწილობრივ შესაბამისობაშია | არ არის შესაბამისობაში |
|---|---|---|---|---|

| | | მოთხოვნებთან | მოთხოვნებთან | მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | √ | | |

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სტუდენტები უნივერსიტეტში მოხვედრის საწყისი ეტაპიდანვე, საინფორმაციო შეხვედრების მეშვეობით, ეცნობიან სასწავლო გარემოს სპეციფიკასა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესაძლებლობებს. სკოლის ადმინისტრაციის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, სტუდენტთა მომსახურების სამსახურისა და გამოცდების ცენტრის მიერ ორგანიზებული შეხვედრები დეტალურ ინფორმაციას აწვდის მათ სასწავლო გეგმის, რეგულაციების, სტუდენტთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ.<br>სტუდენტები არა მხოლოდ საწყის, არამედ მთელი საუნივერსიტეტო გამოცდილების განმავლობაში იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გაუმჯობესებისათვის საჭირო ინფორმაციას და მხარდაჭერას კარიერული განვითარების უზრუნველსაყოფად. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს დასაქმებისა და კარიერული განვითარების სამმართველო, რომელიც, როგორც საერთაშორისო ურთიერთობები და რეგიონალური პროცესების სტუდენტები ადასტურებენ, მუდმივად უზრუნველყოფს მათ |

| |
|---|
| მრავალფეროვანი ვაკანსიებით. აღნიშნულ ინფორმაციას სტუდენტები მეილისა და ელექტრონული პორტალის საშუალებით იღებენ.<br>უნივერსიტეტში მოქმედებს ელექტრონული პორტალი, რომელიც ამარტივებს კომუნიკაციას სტუდენტებსა და როგორც ადმინისტრაციულ, ისე აკადემიურ პერსონალს შორის. იგი სტუდენტს აძლევს საშუალებას მრავალი ადმინისტრაციული მომსახურება ელექტრონულად მიიღოს და საჭიროების შემთხვევაში ელექტრონული მიმოწერის გზით დაეკონტაქტოს ნებისმიერ ლექტორს.<br>სტუდენტები იღებენ ინფორმაციას საერთაშორისო თუ ადგილობრივი პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. უნივერსიტეტში პერიოდულად ტარდება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, რაც დახმარებისათვის მუდმივად მზად მყოფ აკადემიურ პერსონალთან ერთად სამეცნიერო-კვლევითი უნარები განვითარების შესაძლებლობას ქმნის სტუდენტებისათვის.<br>მიუხედავად იმისა რომ, ქართულ უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი ორ ჩინურ უნივერსიტეტთან, პროგრამის სტუდენტებისათვის საერთაშორისო მობილობის რეალური შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტს ძალიან ბევრი აქვს სამუშაო. საჭიროა უნივერსიტეტმა აქტიურად განაგრძოს პარტნიორი უნივერსიტეტების ძებნა და მათთან თანამშრომლობის გაღრმავება.<br>მიუხედავად იმისა რომ, როგორც საერთაშორისო ურთიერთობები და რეგიონალური პროცესების სტუდენტები აღნიშნავენ, სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის არსებობს საკმაოდ უშუალო და მეგობრული ურთიერთობა და სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ნებისმიერ დროს დახმარებით მიმართონ მათ, აუცილებელია არსებობდეს საკონსულტაციო მომსახურების წინასწარ განსაზღვრული განრიგი, რომლის შესახებაც ინფორმაცია ყველა სტუდენტისთვის იქნება ხელმისაწვდომი. როგორც მომიჯნავე ფაკულტეტის სტუდენტებთან გასაუბრებამ ცხადყო, მათი უმეტესობა არ იცნობს მსგავს გრაფიკს, რაც უნივერსიტეტის მხრიდან კომუნიკაციის უფრო აქტიური მეთოდების გამოყენების აუცილებლობას უსვამს ხაზს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა<br>• მემორანდუმები<br>• უნივერსიტეტში განხორციელებული ღონისძიებები<br>• ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:** |

- აუცილებელია გაიზარდოს უნივერსიტეტის ძალისხმევა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, რათა აღნიშნული პროგრამის სტუდენტებისათვის საერთაშორისო მობილობის რეალური შესაძლებლობა შეიქმნას.
- საჭიროა პროგრამამ აქტიურად უზრუნველყოს სტუდენტთა ინფორმირებულობა საკონსულტაციო მომსახურების შესაძლებლობის შესახებ და თითოეულ სტუდენტს მიაწოდოს აღნიშნული მომსახურების განრიგი.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

| |
|---|
| ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | | X | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1 ადამიანური რესურსი |
|---|
| ➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;<br>➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;<br>➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;<br>➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საგანმანათლებლო პროგრამა ძიღითადად ეყრდნობა მოწვეულ აკადემიურ პერსონალს. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევისას პირველ რიგში გათვალისწინებულია მათი მაღალი აკადემიური დონე და სწავლების გამოცდილება. - პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან; - მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, პრაქტიკული გამოცდილებისა და კომპეტენციის ქონით; - პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა არის 34. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მაღალკვალიფიციური პერსონალი. აკედემიური / სამეცნიერო პერსონალის მაღალკვალიფიციურობა დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ნაშრომებით(წიგნები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიები, სამეცნიერო ნაშრომები და სხვა.<br>პროგრამას ძირითადად ემსახურება მოწვეული აკადემიური პერსონალი. ადგილობრივი აკადემიური პერსონალი არის 5. პროგრამას ძირითადად ახორციელებს მოწვეული აკადემიური პერსონალი |

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• სამუშაოს აღწერილობები;<br>• საკვალიფიკაციო მოთხოვნები;<br>• პერსონალის პირადი საქმეები;<br>• საკონკურსო მასალები;<br>• გამოცხადებულ ვაკანსიებზე შეტანილი განაცხადები;<br>• აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა და აკადემიური თანამდებობის პირის ინდივიდუალური დატვირთვის მაჩვენებელი (რომელიც ითვალისწინებს პირის დატვირთვას სხვა უსდ-ებშიც);<br>• აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ ადგილობრივი აკადემიური პერსონალის გაძლიერება |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტი ახორციელებს თანამშრომელთა მუშაოვის შეფასებას და ამ შეფასების შედეგებს იყენებს მათი პროფესიული განვითარებისათვის. უნივერსიტეტს შექმნილი აქვს სამეცნიერო, ადმინისტრაციული და ოწვეული პერსონალის სისტემა. ამ სისტემის შესაბამისად განსაზღვრულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების პირობები, კრიტერიუმები და პროცედურები, დადგენილია შეფასების განხორციელებაზე უფლებამოსილი სუბიექტები და დარეგულირებულია შეფასების პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება მიზნად ისახავს მათ კარიერულ განვითარებას, პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლებას, წახალისების ღონისძიებების გამოყენების და პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენას, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას და გამოვლენილი სისუსტეების აღმოფხვრას. აღნიშნული განაპირობებს პერსონალის მოტივაციას და შრომით ნაყოფიერებას და უნივერსიტეტის ორგანიზაციულ განვითარებას. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება მოიცავს როგორც მათი სასწავლო, ისე კვლევითი საქმიანობის შეფასებას. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური ყოველწლიურად აფასებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო საქმიანობას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ყოველწლიურად უწევთ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მიერ შექმნილი თვითშეფასების ფორმის შევსება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;
- კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი.
- სტატისტიკურიმაჩვენებლებიპერსონალისშესახებ;

- უსდ-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სასწავლო პროცესის განსახორციელებლად. აუდიტორიები აღჭურვილია კომპიუტერებით და ჭკვიანი დაფებით, არის ინფრსატუქტურა შშმ პირებისათვის.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ სასწავლო კორპუსში.

| |
|---|
| სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა განთავსებულია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას; სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს უნივერისტეტი არის საქართველოს ბიბლიოთეკების კონსორციუმის წევრი, რომელიც არის საერთშორისო კონსორციუმის ELFE -ის წევრი. გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე გვაქვს წვდომა მონაცემთა ბაზებზე. ასევე, გვაქვს წვდომა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონულ წიგნებზე.<br>მიუხედავად ამისა პანდემიის დროს სრულად ვერ მოხერხდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების სრული ელექტრონული ვერსიების შექმნა და მათი მიწოდება სტუდენტებისათვის. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი;<br>• ტექნიკურიაღჭურვილობისშეფარდებასტუდენტებისრაოდენობასთან;<br>• ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;<br>• საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა;<br>• ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან.<br>• ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული წიგნების კატალოგის სრულყოფა და ონლაინ ბაზების და ელ-ვერსიების გაუმჯობესება. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |

**შეფასება**

ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტს გააჩნია ცენტრალიზებული ბიუჯეტი, რომელშიც განსაზღვრულია სკოლის ბიუჯეტი. სკოლის ბიუჯეტში გაწერილია პროგრამის მხარდაჭერა. ბიუჯეტში მოცემულია პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უნივერსიტეტის ბიუჯეტი
- სკოლის ბიუჯეტი

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

ο პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

ο მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა

| |
|---|
| აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | X | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ქართულ უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური. სამსახურის დებულების მიხედვით სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები მოიცავს: ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო პოლიტიკის შემუშავებას; დადგენილი წესის შესაბამისად უნივერსიტეტში ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის პროცესში |

მონაწილეობას; საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებებით განსაზღვრული სტანდარტების შესრულების მონიტორინგსა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას; კითხვარების შექმნასა და გამოკითხვის პროცესის ორგანიზებას, მიღებული შედეგების ანალიზსა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას; სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის და სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმების შემუშავებას; სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი და საშუალოვადიანი გეგმების შესრულების მონიტორინგსა და ცვლილებების განხორციელების საჭიროების შესახებ რეკომენდაციების წარმოდგენას დაინტერესებულ პირთათვის და სხვ.

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და გაუმჯობესება ხორციელდება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით" დადგენილი პროცედურების დაცვით და ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ შემუშავებული დოკუმენტით - „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის" შესაბამისად. დოკუმენტი წარმოადგენს გზამკვლევს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და განვითარების პროცესში ჩართული პირებისთვის. აღნიშნულ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ საგანმანათლებლო პროგრამა იქმნება პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის ჩართულობით. ამ პროცესში ასევე უზრუნველყოფილია ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობა.

უნივერსიტეტში შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარეს" პრინციპით მუშაობას. სისტემა ითვალისწინებს ხარისხის მექანიზმის გამოყენებას როგორც საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, ისე მისი შემდგომი განვითარების ეტაპზე.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილია „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის კონცეფცია". დოკუმენტის მიხედვით, უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების შეფასების პროცესში გარდა ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურისა, ჩართულია: სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური, ბიბლიოთეკა, საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, სტუდენტთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების სამმართველო, ენების

| |
|---|
| ცენტრი და სხვა სტრუქტურული ერთეულები. შიდა ხარისხის უზრუნველყოფისთვის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს: პერსონალის (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული) საქმიანობის შეფასების სისტემის შემუშავებას და გამოყენებას; სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმის შემუშავებას და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით მის გამოყენებას; საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმების შემუშავებასა და დაინტერესებული მხარეების (აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სხვ.) აქტიურ ჩართულობას; სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმის და შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავებას; უნივერსიტეტის რესურსების და მიწოდებული სერვისების ხარისხის შეფასებას; მიზნობრივი კვლევებს განხორციელებას.<br>ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულნი იყვნენ პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში, თუმცაღა მათი ჩართულობა ძირითადად შემოიფარგლა სასწავლო კურსების სილაბუსების განახლებით. რაც შეეხება თვითშეფასების დოკუმენტზე მუშაობასა და აღნიშნულ პროცესში მონაწილეობას, აკადემიური პერსონალის თქმით, მათი ჩართულობა მინიმალური იყო. ასევე, ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი ბუნდოვნად იცნობს პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესსა და პროცედურას. გარდა ამისა, მათთვის ნაკლებად არის ცნობილი საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. კერძოდ კი, აკადემიურ პერსონალს, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელსაც, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ პროგრამების მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცედურასა და ინდიკატორებზე.<br>ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების პრაქტიკაში რეალურად დანერგვის მიზნით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების და განვითარების წესი;<br>• ხარისხის შიდა უზრუნველყოფის კონცეფცია;<br>• საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;<br>• ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური დებულება;<br>• თვითშეფასების ანგარიში; |

- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების პრაქტიკაში რეალურად დანერგვის მიზნით.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება უნივერსიტეტში ხორციელდება ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცედურებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომლის დროსაც ხორციელდება თვითშეფასებითა და საავტორიზაციო/სააკრედიტაციო ვიზიტის შედეგად მიღებული მონაცემების გაანალიზება და

| |
|---|
| ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტთა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოების მიერ პოზიციების გამოხატვა და შენიშვნების და/ან რეკომენდაციების ჩამოყალიბება, რაც მათი შინაარსის გათვალისწინებით, გამოიყენება პროგრამის შემდგომი განვითარების პროცესში.<br>პროგრამის შემუშავებისას გამოყენებულ იქნა შრომის ბაზრის კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები და ამ კვლევაში დამსაქმებლების მიერ გამოთქმული რეკომენდაციები. აღსანიშნავია, რომ დამსაქმებლებმა, რომლებიც ამავდროულად წარმოადგენენ პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებს, გამოავლინეს პროგრამასთან თანამშრომლობის მზაობა და დაადასტურეს პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულობა, თუმცაღა ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ პანელზე დამსწრე ორგანიზაციების წარმომადგენლებიდან ყველა არ იცნობდა წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამას.<br>ინტერვიუებითა და თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული დოკუმენტაციით დასტურდება, რომ ახლა საბაკალავრო პროგრამას არ გაუვლია გარე ექსპერტიზა/ კოლეგიალური შეფასება მსგავსი მიმართულების განმახორციელებელი უცხოური ან ქართული უნივერსიტეტის ბაზაზე. სასურველი იქნება, მომავალში პროგრამის შეფასებისა და განვითარების მიზნით განხორციელდეს პროგრამის გარე შეფასება უცხოელი დარგის ექსპერტის მიერ, რაც ხელს შეუწყობს ერთი მხრივ, პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის დაახლოებას საერთაშორისო სტანდარტებთან, ხოლო მეორე მხრივ, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაზრდას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• ბაზრის კვლევის მონაცემები;<br>• საგანმანათლებლო პროგრამა;<br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ გაიზარდოს დამსაქმებლების ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფისა და საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მიზნით განხორციელდეს პროგრამის გარე შეფასება უცხოელი დარგის ექსპერტის მიერ, რაც ხელს შეუწყობს ერთი მხრივ, პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის დაახლოებას საერთაშორისო სტანდარტებთან, ხოლო მეორე მხრივ, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაზრდას. |

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება** |
| პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უნივერსიტეტში ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და შეფასება. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების მიზნით უნივერსიტეტში შემუშავებულია „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების და განვითარების წესი“. წესის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი ითვალისწინებს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების იდენტიფიცირებას, შესაბამისი მონაცემების შეგროვებას და მათ გაანალიზებას. სწავლის შედეგების შეფასების მიზნით გამოიყენება: სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგები; სტუდენტთა მიერ შესრულებული ნამუშევრების |

შეფასება და ანალიზი; სტუდენტთა პორტფოლიოს შეფასება; სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები; ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებულ ქულათა კორელაცია უნივერსიტეტში მიღებულ შეფასებებთან; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, სტუდენტების რეიტინგული სისტემა; სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები; კურიკულუმს გარე და სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობები და სხვ. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ასევე უზრუნველყოფილია სპეციალური კომისიების მუშაობით.

აღნიშნული წესის მიხედვით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახური პროგრამის ხელძღვანელთან ერთად უზრუნველყოფს პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის კონსულტირებასა და ინფორმირებას სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ და მათ მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისათვის. ინტერვიუების შედეგად, სადაც წარმოდგენილნი იყვნენ მომიჯნავე პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომლებიც ამავდროულად ჩართულნი იქნებიან ახალ საბაკალავრო პროგრამაში, არ დადასტურდა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მონიტორინგისა და შეფასების პროცესებში მონაწილეობა. ამავდროულად, ისინი არ იცნობენ ახლადდანერგილ პროგრამის შეფასების მექანიზმს - „სტუდენტთა პორტფოლიოს".

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამის მონიტორინგის და შეფასების პროცესში გათვალისწინებულია დაინტერესებული პირების მონაწილეობა. ინფორმაციის შეგროვებას სისტემური ხასიათი აქვს, ხოლო ანალიზი ხორციელდება დადგენილი პერიოდულობით, სხვადასხვა მიმართულებით. საგანმანთლებლო პროგრამის შეფასებისას მხედველობაში მიიღება პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლები, სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები (სასწავლო კურსების შეფასების მიზნით გამოკითხვები ხორციელდება ყოველი სასწავლო სემესტრის დასასრულს), კურსდამთავრებულთა ყოველწლიური და დამსაქმებელთა (ხორციელდება არანაკლებ 5 წელიწადში ერთხელ) გამოკითხვის შედეგები, უნივერსიტეტის პერსონალის/სხვა სამიზნე ჯგუფების გამოკითხვის შედეგები, საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების ანალიზი.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტს კიდევ ბევრი აქვს სამუშაო პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი~~ს~~ არ იცნობს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგებს, მათთვის არ არის ცნობილი უნივერსიტეტში მიმდინარე გამოკითხვის შედგმებიც. რაც შეეხება პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს, მათ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ სასწავლო პრაქტიკის ფარგლებში მათზე დაკისრებულ მოვალეობებზე და პრაქტიკის შუალედური და დასკვნითი მონიტორინგის მექანიზმებზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პოტენციური დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის კონცეფცია;
- საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების და განვითარების წესი;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და დაინტერესებული მხარეების რეალური ჩართულობა პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესებში.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | | X | | |

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საერთაშორისო ურთიერთობები**

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ბაკალავრიატი**

**დასკვნის გვერდების რაოდენობა: 44**

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | X | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | | X | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | X | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | | X | | |

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

დავით გეგეჭკორი

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

ირაკლი  გორგილაძე

ქრისტინე ჩიხლაძე

ცოტნე ცაავა